№ 170 აგვისტო 18, სამშაბათი 1887 აგვისტო 18, სამშაბათი № 170

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 5

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

«ივერიის» რედაქციაში ხელის-მოწერისა და განცხადების მიღება შეიძლება მხოლოდ დილის ათ საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდე და საღამოს შვიდიდამ რვა საათამდე. მხოლოდ ამავ დასახელებულ საათების განმავლობაში შეიძლება პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან.

ტფილისი, 17 აგვისტო

ხშირად გაგვიგონია ჩვენის ინტელიგენციის წევრთაგან, რომ ჩვენი მწერლობა იმდენად მდაბლადა სდგასო, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს გონება-გახსნილ ადამიანსაო, ე. ი. ვითომ ჩვენი ინტელიგენცია მეტის-მეტად მაღლა იდგეს ზნეობითად და გონებითად, რომ ჩვენს ინტელიგენციას ესაჭიროება უფრო ძლიერი, აღმატებული მწერლობაო; ისიც-კი გაგვიგონია, რომ ქართულს მწერლობას გასავალი იმისთვის არა აქვსო, რომ ადგილობრივი ინტერესები, საჭიროებანი, თვისის სიმცირისა და უმნიშვნელობის გამო, კაკლის ნაჭუჭში მოთავსდებაო... ეს უკანასკნელი აზრი იმდენად უსაფუძვლოა, რომ მასზედ ბევრი ლაპარაკიც არა ღირს. მხოლოდ ამის მომხრეებს მოვაგონებთ, რომ ყოველივე გულწრფელად და ნათლად ნათქვამი ჭეშმარიტება იმდენად დიდია კაცთა ცხოვრებისათვის ყოველგან და ყოველთვის, რომ ჩვენი ინტელიგენცია ჯადოსნობითაც ვერ დასტევს კაკლის ნაჭუჭში ერთს მათგანსაც. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომ ჩვენი მწერლობა ვერ აკმაყოფილებს გონება-გახსნილ ადამიანსო და ამიტომაც ჩვენს ინტელიგენციაში მას გასავალი არა აქვსო, ამაზედ-კი ღირს უფრო ვრცლად მოლაპარაკება. ვსთქვათ ისიც, ვითომ ჩვენი მწერლობა იმდენად ძლიერი არ არის, იმდენად წარმატებული, რომ შეეძლოს გონება-გახსნილი ადამიანი დააკმაყოფილოს და ჰკვებოს. ეგეთი აზრი რომ მართალი იყოს, მაშინაც შეუწყნარებელია ჩვენის ინტელიგენციის საქციელი, უგულობა ჩვენის მწერლობის მიმართ. განა ჭეშმარიტის ინტელიგენციის უმთავრესი სახსარი მოქმედებისა ისევ ის მწერლობა არ არის? განა მწერლობას არ უნდა ასულდგმულებდეს, ასიცოცხლებდეს თვითონ ინტელიგენცია, ვითარცა უფრო ძლიერი გონიერი კრებული საზოგადოებისა? ამიტომაც ინტელიგენციას საბუთი არა აქვს თავი იმართლოს ჩვენის მწერლობის უფერულობით; იმისი მოვალეობაა ხელი შეუწყოს იმ მწერლობას, თუ კი იგი უფერული და უძლურია; იმისი მოვალეობაა, დაიდგას იგი მძიმე, რთული და პატიოსანი უღელი მწერლობისა და მის გაძლიერებისათვის ეწიოს დაუძინებლად და გულმოდგინედ. თუ ეგ არა, თვალყური მაინც ადევნოს მის თავგადასავალს, ყოველს მის ფეხის ნაბიჯს, შიგ მაინც ჩაიხედოს და არა თვალი მოარიდოს, გული მოაშოროს... ეხლა ვიკითხოთ, რამდენად მართალია ჩვენი ინტელიგენცია, როცა ამბობს, რომ ქართული მწერლობა ვერ აკმაყოფილებს და ვერ ასაზრდოებს ჩემს გონებასო, ცნობის-მოყვარეობას და სხვ. ადვილად საფიქრებელია, რომ ჩვენს მწერლობას არ შეუძლიან ასაზრდოვოს რომელიმე ევროპიელი ინტელიგენცია, საზოგადოება, რომელიც ჩვენსაზე უფრო მაღლა სდგას; ჩვენს ინტელიგენციას-კი არა ვითარი ნება და საბუთი არა აქვს ასე დიდგულად მოეპყრას ჩვენს მწერლობას, და აი რა მიზეზით: უკვე გვითქვამს, რომ ჩვენი ინტელიგენცია სრულიადაც არ მისდევს სწავლა-მეცნიერებას, საზოგადო სამსახურს, იგი არც ჩვენს მწერლობას ადევნებს თვალ-ყურს და არც სხვისას, უფრო ძლიერს და უმაღლესს წერტილზე მდგომელს. ჩვენი ინტელიგენცია რომ მისდევდეს სწავლა-მეცნიერებას, უცხო მწერლობას მაინც, მაშინ ჩვენ ქედს მოვიხრიდით, და ჩვენის მწერლობის ჩვარში გახვევას ვაპატიებდით, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ეს არის: თუ ჩვენს ინტელიგენციას დაუკვირდებით, შენიშნავთ, რომ იგინი, ვინც სწავლა-მეცნიერებას მართლა მისდევენ და სხვის მწერლობით მდიდრდებიან, ძალიან ცოტანი არიან; აბა ეგ ცოტანი არიან სწორედ ისინი, ვინც მწერლობის უღელში აბიან, მის ავ-კარგიანობას გულის ტკივილით ეკიდებიან, მასთან ნაღვლობენ და ხარობენ და თუ წერით პირდაპირ ვერა შველიან, სხვა მრავალ გზით ხელს უწყობენ და, სხვა არა იყოს-რა, თვალ-ყურს ადევნებენ მაინც. სხვაფრივ მოქცევაც შეუძლებელია მათთვის, ვინც მართლა ქვეყნიერობის აზრთა მსვლელობას და მეცნიერობის წარმატებას თანასდევს და გულ-წრფელად აჰყოლია, და, რადგანაც ჩვენც კაცნი ვართ და არა-რა კაცებური არ უნდა გვეუცხოვებოდეს, ამიტომაც ჩვენც მონაწილენი უნდა ვიყვნეთ მსოფლიოსი... იმ ჩვენის ინტელიგენციის ცოტათა წყალობით ჩვენ ამისთანა მონაწილენი ვართ, და რაკი ის ცოტანი, ჭეშმარიტად განათლებულნი, მონაწილედ გვხდიან, ამიტომაც იმედი გვაქვს, რომ ეგ ჯერ მცირეოდენი მარცვალი თავის დროზე დიდ ხედ გაიზრდება... ამ გაზრდას მწერლობისათვის მუშაკთა გამრავლება მოჰყვება და ჩხავანა ინტელიგენცია-კი ღობეს გარედ დაგვრჩება... ნამდვილად განათლებული ჩვენი კაცი, მსოფლიოსთან დაახლოვებული, ვერ გასძლებს, რომ არა თქვას-რა და არა ჰქმნას-რა საყოველთაო შესაწევრად... ეგ მეორე მისი ბუნებაა და ამ ბუნებას იგი პირს ვერ უბრუნებს და ვერ უმტყუნებს. რა-კი ეს მცირეოდენი დვრიტა ჩვენში უკვე დადებულია, ამიტომაც სიხარულით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენ მწერლობას მერმისი აქვს... ისინი-კი, ვინც ჩვენსას იწუნებენ და მსოფლიოსაც ვერ მისწვდენიან, ჩვენს მწერლობასაც არ ჰკადრულობენ და სხვისაც ვერ ჰღირსებულან, ისინი-კი ეგოდენ ამაოდ დიდ-გულნი, ჩვენის მწერლობისათვის არარანი არიან და თვითონ ჭეშმარიტ ინტელიგენციისათვის ხორც-მეტნი. როგორც ჭეშმარიტ ინტელიგენციას არა-რაობა არ შეუძლიან, ისე ამ ხორც-მეტს ინტელიგენციისას—„რაობა“...

ნა—ლი

ამ ჟამად პოლიტიკასა და მწერლობაში იმაზედა აქვთ სჯა, თუ რა საშუალებით შეიძლება პრინცის ფერდინანდის გამბედაობას და ურჩობას ბოლო მოუღონ, მთავრობიდგან გადააყენონ ახალი მთავარი და მით ბერლინის დარღვეული ხელ-შეკრულობა აღადგინონ. ჯერ-ჯერობით ცნობილია მხოლოდ ისა, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოებმა უთანხმოება გამოაცხადეს პრინცის ფერდინანდის გამბედაობის გამო. დაბეჯითებით არა ვიცით-რა იმის შესახებ, თუ რა განუზრახავს ევროპას ბოლგარიის საქმის დასაბოლოვებლად ბერლინის ტრაქტატის თანახმად; ამასთან არც ის ვიცით, თუ რამდენად გულ-წრფელად მოქმედობს ევროპა და მართლა განუზრახავს თუ არა მას ბოლგარიის მთავრის აღაგმვა და გადაყენება. ამ საგნისათვის საჭიროა დიდთა სახელმწიფოთა თანხმობა, მაგრამ შეუძლებელია, რომ მთელმა ევროპა ამხედრდეს ბოლგარიის და იმის მთავრის წინააღმდეგ, რადგანაც ევროპის ერთიანად ამხედრება ამ შემთხვევაში სასაცილო რამ იქნებოდა. როგორც გვითქვამს, ერთი რომელიმე სახელმწიფო არ იკისრებს ბოლგარიის საქმის გადაწყვეტას, ვიდრე არ დარწმუნდება იმაზე, თუ რამდენად გულ-წრფელნი და სანდონი არიან სხვა სახელმწიფონი.

მწერლობა დღესაც იმასა ჰკითხულობს, თუ ვინ უნდა იკისროს ბოლგარიის საქმის დაბოლოვება. ოსმალეთმაო, ამბობენ ზოგიერთნი, მაგრამ ოსმალეთის შესვლა ბოლგარიაში კიდევ უფრო გაამწვავებს საქმესაო, რადგანაც ოსმალეთი ბოლგარებს მიაჩნიათ მჩაგვრელ ძალად, მოსისხლე მტრად, რომლის უღლის ქვეშ

ფელეტონი

ეთნოგრაფიული წერილები

(წერილი მეთორმეტე)

რადგანაც ხევსურს სულის უკვდაობა სწამს, ამიტომ საიქიოც მიაჩნია. საიქიოს სულეთს უწოდებს. ხალხმა სულეთზედ რაც-კი რამე იცის, სულ მესულთეებისაგან იცის და მესულთეების ხელობა ხომ სულებთან ყოფნაა და მათთან ბაასი. ხანდისხან უბრალო კაციც სიზმარში თითო-ოროლა რამეს შეიტყობს ხოლმე საიქიოზედ. საზოგადოდ რომ ითქვას, ხევსურის სულეთი მოკლებულია ფანტაზიის გავლენას და უფრო სააქაოს ფერი და მიმართულება ეტყობა. ასეც უნდა იყოს, რადგანაც ხევსური განყენებულს მსჯელობას შეჩვეული არ არის და მისი გონება მარტო ახლო საგნებს თუ მისწვდება. აი თვით სულეთის სურათიც: სააქაოს და საიქიოს შუა ბეწვის ხიდია გაბმული და ეს ხიდი კიდევ ძნელად გასავალია,—

სულეთში ბეწვის ხიდი მე,
გასავალადა ძნელია...
ამ ხიდის ყურზედ ბჟენი სხედან:
ბჟენი სხენ ხიდის პირზედა,
რომლნიც მართლისა მთქმელია.

ბჟეებმა უნდა გაასამართლონ საიქიოს მიმავალი. ცოდვილი ხიდზედ ვერ გავა და კუპრიან მდინარეში უნდა ჩავარდეს,—

ჯანაბეთს, ჯოჯოხეთშია
კუპრის ამოდის ალები.

ამ კუპრიანს მდინარეს, თუ გნებავთ, ტბას გასავალი ნაპირები არა აქვს და ცოდვილი საუკუნოდ სცურავს და იჩჩობა კუპრში, ეწვალება, იტანჯება. ეს დაუსრულებელი კუპრში ცურაობა კიდევ არაფერი, საშინელება უფრო ისაა, რომ ბეწვის ხიდთან ქვაბები დგას ცხელის წყლითა,—

ქვაბებ შამოდგეს ცეცხლზედა,
დუღსა, გადმოდის ცხელია,
ცოდვილს მთქმელს პირზედ დაასხეს,
ნახ როგორ გემნიერია,
რად არა სწორადა სძრახდი,
ენა დაგისვდა მტერია!..

ჯოჯოხეთში მოთავსებულნი არიან ყველა ცოდვილნი. ზოგიერთს მათგანს განსაკუთრებული სასჯელიც ადევს კისრად, მაგალითებრ:

ქმას, ქმასა მოღალატესა,
ჭანჭახშა უდგას ფეხია...
ობოლთ შვილთ დედას დამწირავს
უბეს ჩაუსხნენ გველნია[1],—
შვილებ მოსწირე წვრილები,
ეგ რა რიგ საყვაჩელია!..
სამან-სამზღვრისა ამრევსა
ზურგზე აჰკიდეს კლდენია—
ეგ გინდა, ჯერ ეგა ზიდნე,
მერმე ჯოჯოხეთი ბნელია!..

თვით ჯოჯოხეთი ოთხ-კუთხიანი სადგურია, კარებ დაკეტილი და სიბნელით მოცული:

კარები ჯოჯოხეთისა
გასაღებელად ძნელია,
ოთხი-კუთხია ჯოჯოხეთ,
სამყოფნარო ბნელია.

როგორც ვუჩვენეთ, განსჯა ბჟეების საქმეა. მხოლოდ იმათ უნდა მიუსაჯონ ცოდვილს ჯოჯოხეთი და თან სასტიკი და დაუნდობელი ეშმაკი გააყოლონ,—

ბჟენი დამსხდარან ხიდის ყურ,
შუაში ქჯდა მღვდელია...
— რაი გაჰბჭობით, ბჟეებო,
რასანი ხართ მთქმელია?
— ჯოჯოხეთისკენ წავლალეთ,
რომელნიც ცოდვის მქნელია;
ეშმაკსა გაგაყოლიდით,
რომელიც უფრო მტერია!..

სულ სხვაა სამოთხე. ხევსურის წარმოდგენით, სამოთხე დიდი ციხეა, მრავალ სართულიანი; მზის სხივები და ნათელი აბრწყინვებენ ამ უზარმაზარს სადგურს, რომელსაც ალვის ხე უდგია და ბოლოზედ ვეშა წყარო ჩამოუდის:

ფთერი ციხე დგა სულეთში,
წვერი ცას მიმდინარია,
მაგანეთ (მოშორებით) ალვის ხეა დგას,
ცაშა მიუდის წვერია;
ბოლოზედ ვეშა წყარო დის,
სასმელად გემნიერია;
მადლიან მივლენ, წყალსა სმენ,
ცოდვიან მწყურვალნია...

ხევსურს წყარო დიდ საჭიროებად მიაჩნია და ყურადღებასაც აქცევს იმის გაკეთებას და გამშვენიერებას. ხშირად შეხვდებით, რომ წყაროსთან სპილენძის თასი სძევს მკვდრის მოსახსენებლად. ხალხს წარმოდგენილი აქვს, რომ მიცვალებულს საიქიოს სმა უნდა და ხევსურეთის წყაროზედ „გემნიერი“, მეტადრე ზაფხულში, აბა სხვა რაღა იქნება. ტყუილად-კი არ ათქმევინებს ხევსურს სახელოვანი პოეტი:

მე მარწყვნია შავი კლდე,
თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარიც
გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი...

დიაღ, ეს „ბროლი წყლიანი ჩანჩქარი“ ხევსურს ისე გატაცებით უყვარს, რომ მკვდრის სულისათვისაცკი წყაროს აკურთხებინებს ხოლმე და დიდის ამბით ამ შემთხვევაში ტაბლასაც ამზადებს... ციხის სართულებში მადლიანები სცხოვრობენ. მადლიანებშიაც განსხვავებაა,—„თავ-მადლიანები“ ზემოდ არიან, უხვად სტკბებიან

---

[1] ჩვეულება ნებას არ აძლევს ქვრივს დიაცს, რომელსაც ობლები დარჩა, მეტადრე ვაჟიშვილები, მეორედ გათხოვდეს,—

„ობლების ამტირებელსა
საჯდომ ასწავლეს ბნელია,
სამზეოს უსამართლოვო,
საფერი მოგხვდა შენია!..“

ობლების დამზრდელისათვის-კი ცხენია მზადა საიქიოს—

„ობოლთა შვილთა დამზრდელსა
გზას მიაგებეს ცხენია“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლგარია იტანჯებოდა რამდენისამე საუკუნის განმავალობაში. თუ ვინიცობაა ოსმალეთმა ფეხი შესდგა ბოლგარიაში, მაშინ ბოლგარნი, ვითარცა ერთი კაცი, შემოიკრიბებიან ახალის მთავრის ირგვლივ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ბოლგარიის მჩაგვრელ ოსმალეთს. ამ შემთხვევაში ბოლგარნი შეითვისებენ და შეიყვარებენ ახალს მთავარს, თუ-კი მან საკმაო მხნეობა და გამჭრიახობა გამოიჩინა და ბოლგართ მიზადულობათა ხელი შეუწყო. მაშინ ფერდინანდის გადაყენება თუ მთლად შეუძლებელი არა, ძალიან სამძიმო რამ იქმნებაო.

რუსეთმა უნდა იკისროს იგი საქმე, ამბობენ ზოგიერთნი, მაგრამ თან იმასაც უმატებენ, რომ რუსეთს მხოლოდ მაშინ შეუძლიან იკისროს ბერლინის ტრაქტატის აღდგენა, თუ რომ სხვა სახელმწიფოება გულ-წრფელად თანხმობას და მომხრეობას აღმოუჩენენ და საქმით მიემხრობიან რუსეთსაო.

მაშასადამე, ამ ორ საშუალებათაგან ბოლგარიის საქმის დასაბოლოვებლად პირველი უეჭველად შეუძლებელი და შეუწყნარებელიაო, ხოლო მეორე საშუალება შეიძლება სისრულეში მოყვანილ იქმნას იმ შემთხვევაში, თუ რომ დაცული იქმნება ზოგი რამ პირობა. მაშ რა საშუალებაა, თუ რომ არც ოსმალეთი, მფლობელი ბოლგარიისა, და ჯერ-ჯერობით არც რუსეთი, განმათავისუფლებელი ამ ქვეყნისა, ვერ ჩაერევიან თვითოეულად ბოლგარიის საქმეში, თუ რომ მთელი ევროპა ცხადად არ მიემხრობა მათ. აი საკითხავი, რომელსაც ძალიან დაუფიქრებია რუსეთის მწერლობა.

გაზეთ „Петербургскія Вѣдомости“-ს ნამდვილ და სანდო წყაროდგან შეუტყვია, რომ ამ საკითხავის შესახებ რუსეთის დიპლომატიას მოლაპარაკება აქვს ოსმალეთის მმართებლობასთანაო. ჯერ-ჯერობით განზრახვა აქვთ არტინ-ეფენდი დადიანი გაგზავნონ ბოლგარიაში და მიანდონ მას ბოლგარიის საქმის გადაწყვეტა. თუ ვინიცობაა დადიანმა ვერა გააწყო-რა, მაშინ რუსეთი და ოსმალეთი ერთად, რასაკვირველია, სხვა სახელმწიფოთა თანხმობით, უნდა შევიდნენ თავიანთ ჯარებით ბოლგარიაში და დაასბოლოვონ იგი დაუბოლოვებელი საქმე. ამ შემთხვევაში ბოლგარნი უფრო პატივს დასდებენ ოსმალეთსაც და ოსმალეთი მათზე იმდენად ცუდს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მაშინ, თუ რომ მარტო, ურუსეთოდ, შესულიყო ბოლგარიაში. ოსმალეთიც რუსეთის პატივის ცემით და შიშით უფრო გონიერად და თავ-შეკავებულად იმოქმედებს, ბოლგარებს უფრო ღირსეულად მოექცევა და ჩვეულებრივს საქციელს ვერ ჩაიდენსო. როგორც გაზეთის სიტყვებიდგან სჩანს, ოსმალეთმა უნდა იკისროს ბოლგარიის საქმის დაბოლოვება, ხოლო რუსეთმა ოსმალეთს ხელი უნდა შეუწყოს და თვით ოსმალეთის მოქმედებაზე ზედამხედველობა იქონიოსო.

რასაკვირველია, უეჭველად ესე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა სახელმწიფოები თანახმანი იქნებიან, რომ რუსეთმა და ოსმალეთმა იკისრონ ბერლინის ტრაქტატის აღდგენა და დაცვა.

თუ ეს საშუალება უარ-ყოფილ და სისრულეში მოყვანილი არ იქმნება, მაშინ კიდევ ერთი სხვა რამ საშუალებას ასახელებენ. რადგანაც მთელი ევროპა მალ-და-ტანებით არ იმოქმედებსო და არ ამხედრდებაო, და თუ არც რუსეთმა და არც ოსმალეთმა არ იკისრა ბოლგარიის საქმის წარმოება, მაშინ შეიძლება დაავალონ რომელსამე პატარა სახელმწიფოს, მაგალითად, შვეიცარიას, ბელგიას ან სხვა რომელსამე ნეიტრალის სახელმწიფოს, ბოლგარიის საქმის გადაწყვეტა, ე. ი. რომელიმე პატარა სახელმწიფო უნდა შევიდეს ჯარით ბოლგარიაში და იქ იმოქმედოს ბერლინის ტრაქტატის მიხედვით. ამ საქმის გამო გაზეთი „Петербургскія Вѣдомости“ სამართლიანად ამბობს, რომ ძნელი საფიქრებელია, რომ რომელმამე მცირე, ნეიტრალ სახელმწიფომ იკისროს ეგოდენად სათაკილო საქმეო.

უკეთესი იქმნებაო, ამბობს გაზეთი, რომ ევროპამ მიჰმართოს ბოლგართა კეთილ-გონიერებას და იმოქმედოს მათს ცნობიერებაზეო. ერთის სიტყვით, რუსეთმა უნდა დაავალოს ევროპას რომლისამე საშუალების მოპოვება ბოლგარიის საქმის დასაბოლოვებლად.

ა. ს—ი

ახალი ამბავი

⁂ 14 აგვისტოს ალგეთთან ორი შეიარაღებული თათარი თავს დაესხა ორს მეურმეს. ერთი უკანასკნელთაგანი იყო ქართველი და მეორე—თათარი. ორივ მეურმე მოუკლავთ ყაჩაღებსა და ხუთი უღელი ხარი წაუსხამთ. ეხლა ამბობენ, ვითომც დამნაშავენი უკვე შეიპყრო პოლიციამაო. გარეკილ საქონლიდამ პოლიციას აღმოუჩენია სამი უღელი ხარი, რომელიც ტფილისის რიყეზე მოეყვანათ გასასყიდად. დანარჩენი-კი ამბობენ, უკვე გაყიდესო.

⁂ ჩვენა ვნახეთ ამ დღეებში დაბეჭდილი წიგნი „გულივერის მოგზაურობა“, თხზულება ჯონტანს სვიფტისა, თარგმანი ბ-ნის ცისკარაშვილისა. თარგმანი მეტად კარგის ღირსებისაა, ადვილი საკითხავია და მკაფიოდაც არის გადმოღებული მახვილი ენა შესანიშნავის მწერლისა. არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ მთარგმნელს ტყუილად გამოუტოვებია ის მშვენიერი ადგილი, სადაც ავტორს ჰყავს აწერილი მითიური ცხოველნი, რომელთაც გუინგმებს ეძახის, მით უმეტეს, საწყენია ეს, რომ ამ ადგილში უფრო უკეთ სჩანს ავტორის უიმედო და შავი შეხედულება ადამიანის სულისა და გულის ნაკლულევანებაზე. გარდა ამ შენიშვნისა ერთი თვალსაჩინო ნაკლი კიდევა ვნახეთ და უადგილო არ იქნება ვუჩვენოთ იგი ნიჭიერს მთარგმნელსა, რომ სხვა დროსთვის იქონიოს სახეში. ეს ნაკლი მდგომარეობს შემდეგში: ბ-ნი მთარგმნელი გულივერის მოგზაურობას იწყებს ლონდონიდამ. მკითხველი ჰხედავს, რომ გულივერი ინგლისელი მკვიდრია. მოგზაურობის ამბავს თვითონ გულივერი მოგვითხრობს და ერთს ადგილას გვეუბნება: ისეთი დიდრონი მდინარეები დამხვდა, რომ ჩვენი მტკვარი და რიონი რა იქნება იმათთანაო. აქედამ გამოდის, რომ გულივერი ან ქართველია თითონ, ან ქართველი მკითხველები ჰყავს სახეში, მაშინ-როდესაც სვიფტმა იქნება არც კი იცოდა, არიან სადმე ქართველები თუ არაო, და გინდაც სცოდნოდა, იმ დროს სრულიადაც არ მოუვიდოდა თავში ქართველი მკითხველი. ამისთანა შეცდომადვე უნდა მოვიხსენიოთ მოგზაურობაში ნანახის ტაძრის შედარება ალავერდის ეკკლესიასთან.

თქმა არ უნდა, მთარგმნელს სახეში ჰქონდა გაეადვილებინა ქართველ მკითხველისათვის ამ წიგნის გაგება და ამიტომ ეს ადგილები გადააკეთა. თუ გადაკეთება უნდოდა, მაშინ მთლად უნდა გადაეკეთებინა და, თუ-კი უფრო ძნელი ადგილები და სახელები პირვანდელი დასტოვა და გადააკეთა ეს ერთი ბეწო რამეები,—ასეთი გადაკეთება უფრო აფუჭებს საქმეს და აუგემურებს მკითხველის ილლიუზიას.

მაინც, რაც უნდა იყოს, ეს წიგნი განძია ჩვენის მკითხველებისათვის და დიდის ალტაცებითაც წაიკითხავენ ამ შესანიშნავს თხზულებასა.

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდა საყმაწვილო წიგნი სახელად „სამშობლო ენა“, შედგენილი ბ-ნ ახპატელოვის მიერ. წიგნი ღირს 30 კაპეიკი.

⁂ შაბათსა და კვირას ზედი-ზედ ტფილელმა ქართველობამ ორი დიდი დღეობა იდღესასწაულა—სიონობა და ანჩისხატობა. პარასკევ საღამოს დიდძალი ხალხი მიაწყდა სიონის სობოროს, ეგონათ, უწინდებურად დროს გატარება, მხიარულება და თამაში იქნება ეზოში ღამის მთეველთაგან გამართულიო. აგრეთვე ანჩისხატის ეკკლესიაშიაც ბევრნი წავიდნენ. მაგრამ არც ერთგან დროს გასატარებელი არა იყო-რა და ყველგან ხალხი უკმაყოფილოდ დაიშალა.

⁂ ტფილისის დედათა გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ვისაც ხსენებულს სასწავლებელში უნდა შესვლა, ეგზამენი შეუძლიანთ დაიჭირონ 24 აგვისტოდამ 29-მდე. ეგზამენები დაიწყობა ხოლმე დილის 9 საათიდამ. ხსენებულსავე რიცხვებში უნდა ხელ-მეორედ დაიჭირონ ეგზამენები იმ შეგირდ-ქალებმა, რომელთაც ზაფხულში ვერ გამოიჩინეს საკმარისი ცოდნა.

⁂ სოფ. ლილოს მცხოვრებნი ძრიელ უჩივიან ქურდობას, რომელიც თან-და-თან უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავსა. ჰფიქრობენ, რომ ქურდები გადმოდიან თაქლა და ყარაჯალადამ. მაგრამ ისიც იციან ლილოელებმა, რომ თითონ იმათივე სოფლელებიცა ქურდობენ. ლილო 12 ვერსტზეა ტფილისიდამ, და მაინც პოლიციას ვერა ღონის-ძიება ვერ უპოვნია ქურდობის მოსასპობად. მკათათვეში გლეხთ გაბათაანთ წაართვეს ყაჩაღებმა ორი ცხენი. თურმე ურემზე ჰყოლოდათ გამობმული. ამ დროს დაეხსნენ თავზე ყაჩაღები და გაირეკეს ცხენები. ურმისა და გუთნის იარაღს ხომ ანგარიში არა ექვს, იმდენს იპარავენ.

მკათათვის გასულს, ღამით, ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი მოეკიდებინათ თივისათვის. ხალხი გასაქრობად გავიდა, ქურდებმა იდროვეს და გარეკეს სამი ძროხა. ბევრმა გლეხმა კიდეც დანამდვილებით იცის ქურდი, მაგრამ შიშით ვერ ამბობს. ამ დღეებშიაც გაურეკნიათ ორი ცხენი. შარშან განაჩენი შეადგინეს ლილოელთ, რომ მთელმა სოფელმა ზღოს დამწვარი და მოპარულიო, მაგრამ ეს განაჩენი სისრულეში ვერ მოუყვანიათ მამასახლისის დაუდევრობისა და ულონობის გამო.

ყოვლად საჭიროა ამ საქმეში მიეშველოს ხალხს ბ-ნი მაზრის უფროსი, როგორადაც სჩადის ბ-ნი სიღნაღის მაზრის უფროსი, და აღასრულებინოს განაჩენი, თორემ სხვა გზით ძნელია ქურდობის მოსპობა ლილოშიო.

⁂ თელავის ქალებს მიუმართავთ იქაურ კლუბისათვის—კაცებს ათას ნაირი დროს გასატარებელი სახსარი გაქვთ და ჩვენ-კი, ქალებმა, არ ვიცით, სად და როგორ მოვიხმაროთ ამოდენა თავისუფალი დროვო. ამიტომ გვიჩვენეთ რაიმე გასართობი საქმეო. კლუბიც მაშინადვე მიჰშველებია გაჭირვებულთ და კვირაში ერთი საღამო დაუნიშნავს ქალებისათვის, რომ ლოტოს თამაშობა შეეძლოთ. ქალები კმაყოფილნი დარჩენილან.

იმავ დალოცვილ თელავში ღამის

მზის შუქით; ცოტად მადლიანები ქვემოდ იმყოფებიან; სულ თავში, ციხის წვერის აივნებზედ, დახტიან უმანკო ბავშვები, მუხლამდე ბამბაში გახვეულნი,—

ზედ ილტვის წვრილი ყმაწვილი
დედ-მამას მოხატულია,
ზოგი იცნობდა დედასა,
ზოგ მამას უცნაურია...

სულეთში მადლიანები მხიარულობენ, თამაშობენ, შუშპრობენ. თუმცა «მადლიან მიელენ, წყალსა სმენ, ცოდვიან მწყურვიელნია», მაგრამ ჭამა-კი არ შეიძლება,—საჭმელი მიუვათ, კვირაობით თვით ღვთისაგან სუფრაც ეძლევათ (ამის გამო კვირაობით ხევსური მკვდარს რიგს არ გადუხდის, უამისოდაც ღვთის სუფრა აქვსო...) და ეს მარტო იმიტომ, რომ ცქერით დასტკბნენ, სურვილი დააკმაყოფილონ... მკვდარს სხვა რამეც ესაჭიროება სულეთში—თამბაქო, კარგი ცეცხლი. ამისათვის თამბაქოს უკურთხებენ ხოლმე მიცვალებულს და ცეცხლსაც სახელს დასდებენ; თითქმის რაც-კი რამე კარგი საჭმელი გაკეთდება ოჯახში, შეიძლება ყველას მიცვალებულის „სახელი დაედოს“, თუმცა საზოგადოდ ხევსურს არა სწამს, სულეთში ჭამა იყოს, მაგრამ ის-კი სჯერა, რომ სულს საჭმელი მიუვა და გაეხარდება. ზოგიერთა ადგილას დარწმუნებულნი არიან, რომ სასულეთოდ მაინც იქ მიმავალისათვის საგძალია საჭირო. ამით აიხსნება ერთი საყურადღებო ჩვეულება: დამარხვის დროს მიცვალებულს თავით საფლავში ჩაუწყობენ ხოლმე სამს პატარა კვერს, გზაში მოუნდებაო, ან სხვას ვისმე მშიერს აჭმევსო... გარდა ამისა, ხევსურის წარმოდგენით, მიცვალებული, მთელის წლის განმავალობაში, კავშირს არა სწყვეტს თავის ოჯახთან,—ყოველ იმ დღეს, როცა იგი სააქაოს განშორდა, თავის სახლში დაიარება, თვალ-ყურს ადევნებს მას, უვლის... ამიტომაც საგძალია საჭირო. ამ რწმენაზეა დამყარებული „ტალავარის აბერტყა“ და აი თვით ეს «აბერტყაც». მთელის წლის განმავლობაში მიცვალებულის ტალავარი, იარაღი და სხვა რამე, რაც-კი მას მოეპოვებოდა, სახლის ცალკე კუთხეში აწყვია; ყველა ამას დაალოცვინებენ, სახელს დასდებენ, სანთელს დაუნთობენ, საჭმელს დაუდგმენ და სიკვდილის დღეს სტირიან. ეს ტირილი „წელთავებამდე“, წლის თავამდე უნდა გაგრძელდეს და მხოლოდ მერე ტალავარი „აიბერტყება“, „აიტანება“,—ტალავარს და სხვა სამკაულობას ზოგს დედის ძმებს მისცემენ, ზოგს კიდევ ტოლ-ამხანაგებს და სხვებს ვისმე. პირ-იქით, ხევსურეთში, ჩვეულების ძალით, ტალავარის ატანის დროს ტალავარზედ უნდა ეწყოს სამი კვერი და ყველი. კვერები სიკვდილის დღეს უნდა გამოაცხონ. ამ ჩვეულებას რომ დააკვირდეს მკითხველი, ადვილად შეიგნებს, რომ ხევსურის მკვდარს საგძალი ეჭირვება, სმა-ჭამა უნდა სულეთის ციხეში თუ არა, მოგზაურობის დროს მაინც, როცა იგი თავის სახლში დაიარება. წელთავების შემდეგ, როცა ტალავარი აიბერტყება, მიცვალებული სააქაოს აღარ მოდის და საგძალიც საჭირო არ არის... როგორც ქართლში, ისე აქ ეგრედ წოდებულს მკვდრის რიგს დიდს მნიშვნელობას აძლევენ; თუ მკვდარს რიგი არ შეუსრულეს, დიდი ცოდვაა. მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ხევსურს სული განსაკუთრებულ სულიერ არსებად როდი მიაჩნია,—საიქიოსაც სულს ხორციელობა ეტყობა, ცოტად მაინც ხორციელი მოთხოვნილება აქვს. ყველა აქაური წესი და რიგი სულს საიქიოს მიუვა და ამიტომაც რიგის გადაუხდელად დამარხვა არ შეიძლებაო.

ეს ქვეყნიური, სააქაო შეხედულობა სულის ყოფნაზე, არსებაზედ ხალხს ისე ღრმად სწამს, რომ სიმბოლებრივი დამარხვაც-კი შეუქმნია და დაუწესებია. ეს ჩვეულება მეტად საყურადღებოა და ცხადად გვიხატავს ხალხის აზრს და მსჯელობას სულის ბუნებაზედ:—როცა ვინმე მარტო-ხელია და დამმარხავი არავინა ჰყავს, ან იმედი არა აქვს, რომ მას რიგით დამარხვენ, მაშინ იგი სიცოცხლითვე დაიმარხება ხოლმე, თითონ გადიხდის დამარხვის რიგს; მოემზადება ყოველფრით, რაც-კი დამარხვისათვის საჭიროა, შეჰკრებს სოფელს, ნათესაობას და დამარხვის სმა-ჭამაზედ მოუწოდებს; ეს სმა-ჭამა სწორედ ისე უნდა მოხდეს, როგორც ნამდვილ მიცვალებულის დასაფლავების დროს. თითონ ცოცხალ-მკვდარი, სიმბოლებრივი მიცვალებული, რიგის ასრულების დროს, კარების უკან დამალულია, თვალები აქვს დახუჭვილი, ვითომ მკვდარი ვარო, და ყურს ადევნებს—როგორ შეინდობენ, მოიხსენიებენ... სიმბოლებრივად დამარხული მერე თუმცა მოკვდეს, არას ინაღვლის,—ჩემს სულს საიქიოს სასმელ-საჭმელი მიუვაო...

ხევსურის სააქაო შეხედულობას სულზედ უფრო აშკარად ამტკიცებს „სულის ცხენობა“. ხალხის წარმოდგენით, მკვდრისათვის, მეტადრე თუ ეს მკვდარი კარგი და თვალ-საჩინო ვაჟკაცი იყო, სულეთში ცხენი მიუცილებლად საჭიროა; ამ ცხენზედ ზის ვაჟკაცი და საიქიოსკენ გამგზავრებულებს გზაში მიეგებება, სააქაოს ამბავს მოჰკითხავს... ჯერ ისევ დამარხვის დროს, ვაჟკაცს, თუ ცხენი ჰყავს, შეკმაზული ცხენი გვერდით უნდა მოუყენონ; ხურჯინის ცალ მხარეში ჩაუდებენ ტიკით არაყს, მეორე მხარეში ჩაუწყობენ კადებს. გარდა ამისა, მკვდარს ზედ აწყვია თავისი იარაღი—ხმალი, ხანჯალი, თოფი; გაკეთებული აქვს აშურმა, სასწრაფო, ერთის სიტყვით, შეიარაღებულია, როგორც შორს წამსვლელი მგზავრი. რაც რამ მეტი ტალავარი აქვს, უნაგირზედ დაუწყობენ. როცა ცხედარს სასაფლაოსკენ წაიღებენ, შეკმაზული ცხენი უკან უნდა დააბრუნონ. რადგანაც ცხენი ცოლს უჭირავს, ამიტომ იმანვე სამჯერ უნდა დაჰკრას მათრახი ცხენს და ხმა-მაღლა სთქვას: „შენამც გეხმარებისა, შენიმც საფერხე იქნებისა, ტალავარიმც შენიმც სახმარი იქნებისა, ძალითამც ნურავინ გამოგვკიდებისაო“... მაგრამ თუ კარგს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაინდები თურმე ნაცარტუტას ადენენ დუქნებსა და სახლებს—ზოგსა სტეხავენ, ზოგში პირდაპირ შედიან, როცა ღიაა, და გამოაქვთ, რაც კი ხელს აჰყვება. ცხენებსაც ხშირად იპარავენ და იქვე ახლო-მახლო ასაღებენ ადრევე თვალში ამოღებულ მუშტარზე. ქურდებს ბევრი იცნობს, მაგრამ შიშით ვერ ამხელსო.

⁂ ქსნის ხეობიდამ: როგორც გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი, აქეთ მთელს ხეობაზე ნაცარი შეაყარა ყურძენს. ამას სხვა სენიც დაემატა: ეს ორი კვირაა, რაც ამ ხეობის ვენახებში ვაზის ფოთლები ხმება, მტევანი იშუშება, შიგა-და-შიგ მარცვლები ლპება და ცვივდება, თითქოს დაძრულიაო. ხალხმა არ იცის, თუ ეს რა სენიაო.

⁂ კავკავიდამ: მინდვრის ოსებში ჩვეულებადა აქვთ, როცა ერთ სოფელში ვინმე გარდაიცვლება, სხვა სოფლებიდგან როგორც კაცები, ისე დედაკაცები სამძიმრისათვის დაიარებიან ერთმანეთში. ეს არის უმთავრესი მიზეზი მინდვრის ოსებში სხვა-და-სხვა გადამდებ სენის გავრცელებისა. გადამდები სენები ამ ჟამად გავრცელებულია სოფ. არდონში, ყადგარონში და ყაყადურში. ძალიან კარგი იქმნება, რომ მინდვრის ოსებს ჩააგონებდნენ და მოაშლევინებდნენ მიცვალებულზედ სიარულს სხვა სოფლებში იმ დროს მაინც, როცა გადამდები სენია მოდებული სოფლებში და მიცვალებული გადამდებ სენს უმსხვერპლიაო.

ნავთის სამეფოდამ

ამ რამდენისამე თთვის განმავლობაში მუდამ უფრო-და-უფრო გასაკვირ მოვლენათა მოწამენი ვართ: ორჯელ დიდი ცეცხლი გაჩნდა და რამდენისამე ასი ათასის მანეთის ქონებას ბოლო მოუღო. ალექსეევისა და მარკოვის დიდს შადრევანს, რომელიც დღე-ღამეში ორას ათას ფუთამდე ნავთს იძლეოდა, გაუჩნდა ცეცხლი და ორი ღამე განათებული იყო არა მარტო ბალახანა, არამედ ქ. ბაქოსაც (12-მდე ვერსტზე) უწვდა სინათლე. მაგრამ რასაც ეხლა ვხედავთ, იმაზედ უფრო საკვირველს, მგონია, აქ ვერ მოვესწროთ.

მეთერთმეტე დღეა მას აქედ, რაც საკვირველის სიძლიერით სცემს ერთი შადრევანი სამთო ამხანაგობისა (горное товарищество) და დღე-ღამეში სამას ათას ფუთამდე ნავთს იძლევა. სცემს თითქმის 30 საჟენის სიმაღლეზე და ამ ულეველს ნავთთან ერთად ჭურის სილა-ქვიშას... უბედურება ის არის, რომ აქ თითქმის მუდამ უბერავს სამხრეთის, ან ჩრდილოეთის ქარი. პირველ ოთხსა თუ ხუთს დღეს ამ გიჟის შადრევანიდამ ნორდს გადაჰქონდა დიდს მანძილზედ ნავთიანი სილა-ქვიშა და ამის გამო გაუქმებული იყო მუშაობა თითქმის ნახევარს ბალახანაში. ცეცხლი ვერ დაენთოთ შიშისაგან. დღეს მობრუნდა ქარი, დაჰბერა მარანმა და ეხლა მეორე ნახევარშიაც შედგა მუშაობა... შადრევანის გარემემო ასსა და მეტს საჟენზე დაცლილია სადგურები. ნავთით გაჟღენთილი მძიმე სალა-ქვიშა უწყალოდ ამხობს ბანებს... ბევრი რამ სცადეს, რომ შეეყენებინათ ეს გიჟი შადრევანი, რომელიც ზარალის მეტს არაფერს სარგებლობას არ მისცემს ბოლოს მეპატრონეთ, მაგრამ ყველაფერი უქმია. დღეს მიაგორეს ათამდე თვითო თითქმის ორმოც-ორმოც ფუთიანი ქვა, გადუშვეს, მაგრამ შადრევანს თითქოს არც-კი უგრძვნია. ჭურიან მორჩილს ქვებსაც—ხუთ, ათ და მეტს ფუთიანებს, მაგრამ ძლიერი გაზი ნაფოტივით ათამაშებს როგორც ამ ქვებს, ისე ქვიშით სავსე დიდს ტომრებს. ინჟინერ-ტეხნიკები და მეხანიკები ჯერ-ჯერობით-კი ვერას გახდნენ... ხვალაც უნდა ითათბირონ, მაგრამ ხვალამდის ვინ იცის, რა მოხდება. ჩემს ოთახამდე ნახევარ ვერსტამდე მანძილია გიჟ შადრევანიდამ, მაგრამ ისეთი გაზის სუხი დგა, რომ მეშინიან ერთბაშად არ მივეთქოს... კვლავ გაცნობებთ, როგორ წავა ამ გაშმაგებულ შადრევანის საქმე...

დ. მესხი

ბალახანა
აგვისტოს 11-ს

მინდვრის ოსები

ჯოჯოხეთს ერთი მეგუზარი აკლდა, მიიტანეს და ისიც ზედ დაურთესო, სწორედ ისე მოსდათ მინდვრის ოსებსაც. სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობამ ხომ ტყავი გააძრო ხალხსა, მატყუარა მკითხავებმა გაუჭირა საქმე და ეხლა კიდევ ერთი კეთილის-მყოფელი მოლა გამოუჩნდათ ამ უბედურებს. მოლა [illegible] სოფ. ფსიდმოწყველი და როცა მივლენ სამკითხაოდ, ხალხს ეუბნება: მე მკითხაობა არ ვიცი, მხოლოდ ჩავიხედავ ჩემს ყორანში და ამოვიკითხავ, რაც თქვენთვის საჭიროაო. ამ ხაირად ვისაც ან შვილი არ უჩნდება, ან არა რჩება, მშობიარს მუცელი ემლება, ან სხვა რამ სნეულება აქვს, ამახთანაებს ამოუკითხავთ ხოლმე ყორანსაო მოურიგდება ფულზე, დაუწერს ქაღალდს და ეტყვის: წადი, წაიღე ეს წიგნი, შეაბი იმას, ვისაც შვილი არ უჩნდება, ან არა რჩება, ფეხ-მძიმობაში გაფრთხილდეს და სხვა აღარა უნდა-რა, გაუჩნდება და კიდეც შერჩება შვილიო. მე თვითონ ჩემის თვალით ვნახე ამას წინად, რომ ერთის კაცის ცოლი დღე-დღეზე დასაწოლი იყო. წისქვილიდგან წამოედო ზურგით ერთი გუდა ფქვილი, სწორედ ხუთი ფუთი გამოვიდოდა. მოსვლისათანავე, ჩამოიხსნა გუდა თუ არა, მუცელი მოუშალა... და იმავ დამესვე მკვდარი ვაჟი შობა საცოდავმა დედაკაცმა. ქმარი მეორე დღესვე წავიდა ხსენებულ მოლასთან და შესჩივლა: შვილი არა მრჩება და შენი ჭირიმე წიგნი დამიწერე ისეთი, რომ დი შემრჩესო. მოლამაც კაი წითელი ქაღალდი ააძრო თავის მსხვერპლს, დაუწერა რაღაც ქაღალდი, მისცა კაცს და უთხრა: წაიღე ეს ქაღალდი, შეაბი და ფეხ-მძიმობაში გააფრთხილე შენი ცოლი, რომ მძიმე აღარა ასწიოს-რა ანუ აღარა აიკიდოს-რაო. ეხლა რაკი გააფრთხილებს ის კაცი თავის ცოლს და ფეხ-მძიმობაში აღარ ამუშავებს, მუცელიც აღარ მოეშლება. რასაკვირველია, მერე წავა ეს ოსი და სხვას ეტყვის: იმ მოლას წამალმა არგო ჩემს ცოლსაო. ეს ბ-ნი მოლა სოფლებსაც-კი არა ჰკმარობს, არამედ ქ. კავკავში მცხოვრებ ოსებშიაც დაბძანდება ხოლმე და, როგორც გადმომცეს, ოსების გარდა ქართველები, სომხები და სხვა ჯურის ხალხიც-კი ბევრი მისდის და თუმნიანი, თუ ხუთ-მანათიანი ბილეთები გადადის ბ-ნ მოლას ჯიბეში. ძალიან გასაკვირველია, რომ თუ სოფლად არავინ მიაქცია ყურადღება, კავკავში მაინც როგორ ვერავინ შეამჩნია მოლას ასეთი საქციელი და არ აღუკრძალა.

ქართველი ოსებში

ქ. კავკავი
9 აგვისტოს

წვრილი ამბები

— სერბიის მეფეს მილანს უბრძანებია თავის მემკვიდრეს აღმზრდელისათვის, რომ ლაპარაკის დროს პრინცთან ფრანგულის ენის მაგიერ გერმანული ენა იხმარეო.

— პარიჟში აგერ ხუთი წელიწადია საზოგადოებაა დაარსებული ურთი-ერთთა საშველად მუშათა და მშრომელთათვის. ამ საზოგადოებას სახელად „Prèvoyants de l'avenis“-ი ჰქვიან. ვინც ამ საზოგადოებაში წევრად ჩაეწერება, ამ თავით 1 მან. უნდა გადაიხადოს და შემდეგ თთვე და თთვე კიდევ ათ-ათი შაური უნდა შეიტანოს. ამ საზოგადოებას ხუთს წელიწადში ერთი მილიონი ფული შესვლია და 40,000 წევრი ჰყავს თურმე. იმ მუშათ, რომელნიც უადგილოდ დარჩებიან, ან ლოგინად ჩავარდებიან, შეუძლიანთ თავიანთი შეტანილი ფული უკანვე გამოიტანონ და მოიხმარონ.

— ბერლინის ხუმარა გაზეთ „Vlk“-მა მზის დაბნელებაზედ შემდეგი სურათი დაჰბეჭდა თურმე თავის გაზეთში: შეიარაღებულს მეომარს ცალი ფეხი რუსეთში უდგას, მეორე გერმანიაში და ფარით აბნელებს „მშვიდობიანობის“ მზესა.

— პარიჟში, არაგოს ბულვარში, ობსერვატორიის შენობის წინ, ამ ახლო ხანებში მეგლი უნდა დაუდგან თურმე განთქმულს ვარსკვლავთ-მრიცხველს ფრანსუა არაგოს. ეს მეგლი მოქანდაკე ოლივას მიერ არის გამოქანდაკებული.

— პარიჟშივე მომავალ წლის აპრილში იქმნება კრება ბიბლიოგრაფთა. კრებაზედ შემდეგს საგნებზედ ექმნებათ სჯა და ბაასი: 1) ლიტერატურა და მეცნიერება უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში; 2) სახალხო გამოცემანი; 3) კერძოდ ბიბლიოგრაფია და 4) საერთაშორისო საზოგადოებანი, წრენი და ბიბლიოგრაფთა დამოკიდებულებანი ერთმანერთთან.

— ამას წინად შტეტტინში მიუტანიათ ორი გვამი ბერლინში გარდაცვალებულ ჩინეთის წარმომადგენელთა და დესპანთა. ეს გარდაცვალებულნი თავის სამშობლოში უნდა წაიღონ და მიწას მიაბარონ. ამ ორის გვამის გარდა გემზედ კიდევ სხვა ევროპაში გარდაცვლილ ჩინელთა გვამები აწყვია თურმე სამშობლოში წასაღებად. ჩინელთა ჩვეულებით, ყველა ჩინელის გვამი თავის სამშობლოში უნდა დაიმარხოს, თუ ჩინელების სასაფლაო არ არის იქ, სადაც ეს ჩინელი გარდაცვლილა. ამ ჩვეულებას ისე მტკიცედ იცავენ ჩინელები, რომ ყველა მომაკვდავის ერთად-ერთი ფიქრი და დარდი ის-ღაა: ღმერთო, ჩემს სამშობლოში დამმარხე და მამა-პაპის მიწას ნუ მომაშორებო. ჩინელებს სარწმუნოება ასწავლის, რომ ის, ვინც თავის სამშობლოში არ დაიმარხება, საუკუნოდ დაწყევლილ და შეჩვენებულ იქმნებაო.

გასართობი

ერთი შვეიცარიის გაზეთი, სახელდობრ „Aargau Nahrichten“-ი შემდეგს ამბავს მოგვითხრობს. აარგაუში ერთი მხიარული სასტუმროს პატრონი დაენაძლევა ერთს თბილს წყლებზე მოსულს მდიდარსა და შეძლებულს კაცს, რომ ერთბაშად ათს იხვს შევჭამო. მართლაც, შეუსრულებია თავისი ნაძლევი, და აი როგორ. სასტუმროსთან პატარა ტბა ჰქონია და ტბაში ათი იხვი ჰყოლია. ერთი იხვი ამოუყვანია, დაუკლავს, გაუპუტვნია შეუწვავს და შემწვარი ტბაშივე გადაუგდია. ტბაში დარჩენილი ცხრა იხვი მაშინვე მისცვივნიან და შეუჭამიათ შემწვარი იხვი. ასე მოჰქცევია ეს სასტუმროს პატრონი დანარჩენ რვა იხვსაც. დაუკლავს თითო-თითო და ცოცხლებისათვის შეუჭმევია შემწვარი. მეათე-კი შეუწვავს, თითონ შეუჭამია და ამ გვარად მოუგია 50 მან. სანაძლეო. ამისთანა მოხერხებულ ამბავზედ ბევრი იცინეს მნახველთაო, ამბობს გაზეთი. ვინ იცის, იქნება მთელი ეს ამბავი გაზეთის ოცნების ნაყოფია და სხვა არა-რა.

⁑

ინგლისის მემკვიდრე პრინცს უელსისას მოუტანეს ამბავი, რომ შენი გამზრდელი ძიძა, ბერი სკერრი, 96 წლისა, სიკვდილის პირად არისო. პრინცი მაშინვე წავიდა თავის ძიძის სანახავად, იჯდა პატარა ხანს ავად-

---

ვაქაცს სიცოცხლეში ცხენი არ დარჩა, იმის სულს ცხენი მაინც უნდა უშოვნონ. ცოლი ან სხვა ვინმე ახლო ნათესავი სიზმარში ნახავს—მკვდარი სჩიოდა სულეთში ამხანაგებს სულების მიგებებაში უკან ჩამოვრჩიო, რადგანაც ცხენი არა მყვანდაო... მაშინ სულს ცხენს უყიდიან და აჩუქებენ მკვდრის მეგობარს, ახლო ნათესავს. შეიძლება სიცოცხლეში პატრონმა თავისი ცხენი ვისმე უანდერძოს, ვისთვისაც „ეჭირების“... ჩვეულების ძალით, ცხენის „ჩქერება“ წინად უფრო დედის ძმას ეკუთვნის, შემდეგ მამიდგან ბიძაშვილს, იმის ქვემოდ ცოლეულს, დისწულებს... ძმობილსაც შეიძლება ეანდერძოს, მაგრამ, როცა „სულის ცხენობა“ ანდერძით არა წესდება და სიზმრის ნახვის შედეგია, მაშინ ცხენს ბევრ წილად მეგობარს და ძმობილს მისცემენ, რომელნიც კარგნი მხედარნი არიან და ცხენის ხელიც კარგად იციან. რასაკვირველია, სულის ცხენი ყველაფრით შეკმაზული უნდა იყოს, თოფრიდამ დაწყობილი უკანასკნელ სამკაულსა და იარაღამდე...

რადგანაც სულის ცხენი „სახელ-დადებულია“, სულეთში მიცვალებულს ეხმარების, ამიტომ კარგად მოვლა და სილაღე ეჭირვება; ბარგი ან ტვირთი არ აეკიდება, მარტო საჯდომად უნდა იხმარონ; ცხენი რომ გახდეს ჯაფისაგან, მიცვალებული დაღონდება—გამხდარი ტაიჭი რად მეპრიანება, ტოლ-ამხანაგებს ხომ უკან ჩამოვრჩებიო... ვინიცობაა, სულის ცხენს სილაღე მოაკლდა, მკვდრის პატრონი გამოართმევს მას მხედარსა —მკვდარი დაღონდეო. სულის ცხენის გაყიდვა შეიძლება, ისიც მაშინ, როცა ეს ლაღი ცხოველი დაბერდება, და უეჭველად გაყიდვისათვის მკვდრის პატრონის ნება-რთვაა საჭირო; მყიდველი ამ ნაირს ცხენში ნახევარ ფასს მისცემს—მთელი ფასი რად მოგცე, როცა საიქიოს ცხენი მე არ დამრჩება და მიცვალებული წამართმევსო. ეს კიდევ არაფერი. გამყიდველმა მიცვალებულის სულის სახეიროდ ერთი თასი უნდა შესწიროს ხატსა. რადგანაც დაბერებამდე სულის ცხენის გაყიდვა დიდად სათაკილოა, ამიტომ თუ ვინმემ ეს სათაკილო საქმე იკისრა, სულს სხვა ცხენი უნდა უყიდოს,—აბა საიქიოს უცხენოდ ხომ არ იქნება თავ-მომწონე მამროვანი!..

მკითხველი თითონაც ჰხედავს, რომ ხევსურის მკვდარს საიქიოს ბევრი ისეთი რამე ესაჭიროება, რომელიც სააქაოსაც დიაღ რომ საჭიროა ცოცხალის ადამიანისათვის—მშვენიერი ანკარა წყარო, კარგი ცეცხლი, თუთუნი, საგზაოდ საგძალი, შეკმაზული ტაიჭი... თვით სულეთიც, როგორც ვნახეთ, ხომ ისეთი სამყოფოა, რომელსაც სააქაოს ფერი სდევს. სხვა მიზეზებს რომ თავი დავანებოთ, გონების სილატაკეს და ფანტაზიის სიღარიბეს საიქიო სააქაოს ფორმაზედ მოუწყვია. ეს მოვლენა საზოგადო მოვლენაა ყველა ხალხის ცხოვრებაში და ეგრედ-წოდებულს სოციოლოგიურს კანონს ექვემდებარება. ჩვენ ამ კანონის განმარტებას არ შევუდგებით და მხოლოდ დავძენთ, რომ, რაც უნდა იყოს, ხევსურსაც საიქიო უფრო დიდ რამედ მიაჩნია, მას სააქაოზედ მაღლა აყენებს. ამის გამო სიკვდილი უწმინდურებაა; ხალხის აზრით, სული წმინდაა და სხეული, მძოვრი მყრალი და უწმინდური ნივთიერებაა. კიდეც ამიტომ ხევსური სულთ-მობრძავს არასოდეს სახლში სულს არ დაალევინებს; რაც უნდა ცივი და ყინვიანი ზამთარი იყოს, მომაკვდავი კარზედ უნდა გაიყვანოს და ცის ქვეშ განუტევებინოს სული,—სახლი გაიბილწებაო; თუ მკვდარს სახლში ამოხდა სული, მაშინ სახლი მიუცილებლად უნდა გაინათლოს, ისხუროს. რადგანაც სხეული და თვით სიკვდილი უწმინდურებაა, ხატიონი ანუ ხატის მოსამსახურენი მიცვალებულს ვერ მიეკარებიან, სამძიმრის, „ჭირის წყენის“ დროს მიცვალებულის ბანზედ არ ავლენ და ჭირისუფალს შორიდამ მიუსამძიმრებენ; მკვდრის ტალავრის შეხება ხომ „ტალავრის აბერტყამდე“ არა გზით არ შეუძლიანთ. თუ რა შორს უწევს ხსენებული უწმინდურობა, სჩანს ნარევობიდგან. ნარევები ისინი არიან, რომელთაც მკვდარი უნდა მოამზადონ დასამარხავად. რადგანაც სხეული უწმინდურია, ამიტომ იგი უნდა გაიბანოს, განიწმინდოს; მამროვანს თავი უნდა მოჰპარსონ და უეჭველად ის ალაგიცა, საცა სარცხვენელი ასო აბია (ამ ალაგის მოპარსვა მდედროვან მიცვალებულისათვისაც საჭიროა, მხოლოდ მოპარსვა ნარევის-ქალის მოვალეობაა); გარდა ამისა, მკვდარს საიქიოს შესაფერი ტანისამოსი უნდა. ამიტომაც ნარევები ჩააცმევენ ჯერ თეთრს პერანგს, მერე ლურჯს ან ჭრელს და ზემოდ წითელს; ამ სამ პერანგში გახვეულს სკლატიც ეჭირვება (სკლატი წითელი მაუდია, ან სხვა რამე წითელი ფარჩა). როგორც ჰხედავთ, საიქიოს წასვლას დიდი სისუფთავე, განწმენდა უნდა და ეს იმიტომ, რომ სულეთი წმინდა სადგურია, ყროლი სხეული უსუფთაოდ ხომ ვერ წარსდგება ბჭეების წინაშე!.. ნარევებად უფრო ახალგაზდები და უცოლოები არიან, რადგანაც მათ შორის მადლიანები ხშირად მოიპოვებიან,—მადლიანებს უფრო ცოტად მიეკარება უწმინდურება და თვით ნარევობა ხომ არაა წმინდა ხელობა. ნარევები ექვს დღეს და ბევრჯელ მეტსაც თავიანთ სახლში ვერ წავლენ; იგინი შერეულნი არიან, უწმინდურობით გასვრილნი და იქ უნდა იმყოფებოდნენ, სადაც მკვდარი გაჰბანეს, სასულეთოდ მოამზადეს. იმათ, სახლში დაბრუნებამდე, ყოველ დღე წყალში უნდა იბანონ, განიწმინდონ; საჭმელს ჯალაბობა უზიდავს, ან მეზობლები; ხალხი ერიდება როგორც უწმინდურებს და მხოლოდ სახლში დაბრუნების შემდეგ ნარევებსაც ეცლება უწმინდურება... ასე სწამს ხევსურს სხეულის უწმინდურობა და ასე დიდ ცოდვად მიაჩნია სიკვდილი, ეს აუცილებელი ხვედრი ყველა მომაკვდავის არსებისა!..

ნ. ურბნელი

მეოფისას და შემდეგ წასვლა დააპირა. ავადმყოფ მოხუც დედაკაცმა შენიშნა, რომ პრინცი წასვლას აპირებსო, წაავლო თურმე ხელი მკლავში და ტირილით უთხრა.

— მე იმდენი ღამეები გამიტარებია უძილოდ თქვენის უმაღლესობის საწოლ წინ, პრინცო, და თქვენ რომ რამდენიმე საათი მაჩუქოთ, რა დიდი საქმე იქნებაო!

პრინცი სიამოვნებით დასთანხმებია მომაკვდავის სურვილს და დილის 3 საათამდე ფეხ-მოუცვლელად ავადმყოფის გვერდზე მჯდარა და ყური უგდია ძიძის ლაპარაკისათვის. 3 საათზე ავადმყოფს სული შეუხუთდა და ბრძოლა დაუწყო თურმე. ავადმყოფი გარდაიცვალა და აი იმის უკანასკნელი სიტყვები:

— პრინცი ალბერტი ყოველთვის კეთილის გულისა და დამჯერი იყო... უეჭველია, კეთილი მეფე იქნება თავის ხალხისა...

პრინცს ამ სიტყვების გაგონებაზე ცრემლი მოჰრევია თვალებზე და ძალიან აღელვებული დაბრუნებულა სასახლეში.

* * *

დეპეშა

14 აგვისტო

პეტერბურგი. სასამართლომ თექვსმეტის თითვით დაპატიმრება გადუწყვიტა ოთხს ყაზახს, რომელთაც აღლუმის დროს ჩუხონელები დაუჭრიათ.

ნაფიც მსაჯულთა გაამართლეს სამსახურიდგან გადამდგარი კორნეტი სავინი, რომელსაც ავაზაკობა ბრალდებოდა; კიდევ რამდენიმე საქმე აქვს გასარჩევად სასამართლოს სავინისა. სხვათა შორის, სავინს ჰბრალდება კალუგაში ერთის სახლის დაწვა და სტამბოლში ფაშის შეურაცხყოფა.

კოპენჰაგენი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დღეს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, მობრძანდნენ აქა. მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ დანიის კოროლი, მემკვიდრე პრინცი, კოროლი საბერძნეთისა და ჯავშნიან გემთა ჯარის-კაცების რაზმი. ნაპირზედ გადმოსვლის დროს ხელმწიფე იმპერატორს და დედოფალს იმპერატრიცას მიეგებნენ დანიის დედოფალი და სამეფო გვარეულობის პრინცესანი. უდიდებულესს სტუმართ ბაირაღებით მშვენივრად მორთულ ქალაქზე გაიარეს და ფრედენსბორგის სასახლეში მიბრძანდნენ

15 აგვისტო

ლონდონი. გერმანიის მემკვიდრე პრინცესა, რომელიც ამ სამის დღის წინად პორტსმუტში წაბრძანდა, ბრუნდებოდა იქიდგან ჯავშნიანის გემით და გზაზე ეს გემი მოდარაჯე გემს „Inkercible"-ს მიეჯახა. ამის გამო პრინცესა პატარა სამეფო გემზე გადაბრძანდა და ისე განაგრძო გზა.

საზოგადოებათა პალატამ უარჰყო გლადსტონის წინადადება წინააღმდეგ მთავრობის იმ პროკლამაციისა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ საერო საზოგადოება უკანონოაო.

17 აგვისტო

სტამბოლი, 16-ს აგვისტოს, ვარნაზე. იმ ცირკულიარში, რომელიც დღეს გაეგზავნება სახელმწიფოებს, ოსმალეთი ამბობს, რომ რუსეთმა პასუხი გასცა ოსმალეთის უკანასკნელს წინადადებაზე. რუსეთი თხოულობს, რომ ბოლგარიაში დაინიშნოს ერთი რეგენტი, რომელიც ამავე დროს აღმოსავლეთ რუმელიის გუბერნატორადაც უნდა იყოს, როგორც გარდაწყვეტილ იქმნა კონფერენციის მიერ ტოპხანეში; აგრეთვე რეგენტს უნდა მიენიჭოს მთავრის უფლებანი. ბოლგარიაში შესვლისათანავე რეგენტმა უნდა დანიშნოს ახალი სამინისტრო და ახალი არჩევანები მოახდინოს დიდის საერო კრებისა მთავრის ამოსარჩევად.

გუშინ ოსმალეთმა გარდაწყვეტილად გამოუცხადა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომ თვით ოსმალეთი ბოლგარიის საქმეში იმ დრომდე არავითარს მონაწილეობას არ მიიღებს, ვიდრე თვით სახელმწიფონი ერთმანერთ შორის არ მორიგდებიან, ოსმალეთი მხოლოდ იკისრებს შუამავლობას სახელმწიფოთა შორის და გარდასცემს სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს ერთმანერთის წინადადებასა.

სოფია. შესანიშნავი არა მომხდარა-რა ამ უკანასკნელ დღეებში. პირველად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოფიციალურ წრეთა შორის საფრანგეთის, რუსეთის, გერმანიის და პორტის მოქმედებამა; მერე კი დამშვიდდნენ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ავსტრია, ინგლისი და იტალია ეწინააღმდეგებიან ძალმომრეობის მიტანას ბოლგარიაზე. სამაგიეროდ შინაური მდგომარეობა უფრო-და-უფრო ძნელდება. ცანკოვის მომხრეთა საქციელზე ხომ ლაპარაკიც არ არის საჭირო: იმათ ეხლა ხელსაც შეუწყობს ის ამბავი, რომ შიშიანობის წესები გაუქმებულ იქმნებიან და არჩევანების დროც მოაწევს. პიროვნული უთანხმოებანი ცუდად იმოქმედებენ ახალის მთავრობის გაძლიერებაზე.

სტოილოვმა და ნაჩევიჩმა დაბოლოვებით გადასწყვიტეს, რომ საქმეებზე ხელი აიღონ; სტამბულოვიც უარს ამბობს მმართველობაში მონაწილეობის მიღებაზე, თუმცა კი სხვალიოდ იგი მოდის სოფიაში, რომ ხელი შეუწყოს ახალის კაბინეტის შედგენასა. კაბინეტის თავი კაცი იქნება ტონჩევი. არჩევანების ხანა მეტად შფოთიანი რამ უნდა იყოს ჯერ მარტო იმის გამო, რომ ელემენტებს, რომელთაგანაც შესდგება მომავალი სამინისტრო, არ ექნებათ შესაფერი გავლენა, რათა ხელ-მძღვანელობა გასწიონ არჩევანებში.

პეტერბურგის ბირჟა, 11-ს აგვისტოს ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ
ხუთ-მანათიანი ოქრო	— »	— »	9 27
ტამოჟნის კუპონები . .	— »	— »	180
მანათიანი ვერცხლის ფული, ...	— »	— »	1 29
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— »	— »	276½
— მეორისა	— »	— »	256
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა. . .	— »	— »	— »
ქუთაისის ბანკისა . . .	— »	— »	— »
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , .	— »	— »	— »

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

18 დღე ხამშაბათი. წმ. მოწ. ფლორესი, ლავრესი, ერმისა და სხ. კათოლ. ჩესლავისა და ბრონისლავისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-12 რიცხვი ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—38. მთვარე 12 დღისაა.

19 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ანდრია სტრატილატისა. კათოლ. რუფინისა, ბენინისა და ლუდოვიკისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—24, ჩადის 6—36. მთვარე 13 დღისაა.

20 დღე ხუთშაბათი. წინ.-მეტყ. სამუილისა, მოწ. სევერისა და მემნონისა. კათოლ. სამუილისა და მარიანასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-14 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—25, ჩადის 6—35. მთვარე 14 დღისაა.

21 დღე პარასკევი. წმ. მოწ. თადეოსისა. კათოლ. ტიტისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-15 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12-0. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—33. მთვარე 15 დღისაა.

22 დღე შაბათი. მოწ. ადათონიკესი, ქალწ.-მოწ. ევლალიასი. კათოლ. სიმფორიონასი და ტიმოთესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—27, ჩადის 6—31. მთვარე 16 დღისაა.

23 დღე კვირა. მოწ. ლუპპასი, ირინე ეპისკ. ლიონისა. კათოლ. ფილიპპესი და ლეოკადიისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—30. მთვარე 17 დღისაა.

24 დღე ორშაბათი. მღვდ.-მოწ. ევტიხისა. კათოლ. ბართოლომესი და ტერეზიასი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა. ეიდი-ჰადრი-ხუმი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—29, ჩადის 6—28. მთვარე 18 დღისაა.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელ. პური 1-ის ხარისხისა .	3 »
» 2 »	2½
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
» » 2—	3½ »
» » 3 »	3
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 »
მე-2 ხარისხისა . .	4 »
მე-3 — . .	» »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 »
» 2 »	6 »
სუკი . . .	13 »
ცხვრის ხორცი . . .	7 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	» »
» 2 »	» »

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში მივალს.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევალს).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშა ბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთამდისაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ 1887 წ. ენკენისთვისათვის პირველ განყოფილებაში ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში ვაკანსიები სულ არ არის. აგრეთვე არ არის ვაკანსიები პროგიმნაზიის პირველსა და მეორე კლასებში. პროგიმნაზიის მესამე კლასში იქნება ოთხი ვაკანსიდა მეოთხეში არა ნაკლებ ოცის ვაკანსიისა. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 17 აგვისტოდამ 24 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობის და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკი მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლება.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპირიდონ ჯორჯიკია

(6—6)

ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა,

გამოცემული ი. მურადოვისაგან,

ისყიდება ქ. ქუთაისში, გამომცემლის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

ვინც 30 ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს, ეგზემპლიარი 20 კაპ. დაეთმობა.

იქვე ისყიდება დედანთან სახმარებელი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რვეულებიც. (10—4)

ისყიდება

დუშეთის მაზრის სოფელს მჭადიჯვარში: ძველი ღვინო, ხორბალი, ქერი, თივა, ბზე და ღორი. (10—3)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მ.	კ.
ილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა	3	»
ვისრამიანი, სარგის თმოგველისა.	1	50
სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა	»	50
დავითიანი, დავით გურამიშვილისა	1	»
თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა	1	»
ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა	»	50
ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა.	»	30
თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა.	»	40
მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა .	»	30
დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა	»	20
რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . .	»	10
სურამის ციხე, ჭონქაძისა . .	»	20
ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. .	»	30
თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა.	»	1
ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა.	»	20
ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა.	»	5
იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა.	»	25
განკიცხული, მოხსუნარიძისა .	»	50
ციკო, მისივე. . . . . ,	»	30
პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა	»	10
მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა	»	10
ბაგრატ მეოთხე, მისივე. . .	»	20
მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე	»	10
ვახტანგ მეექვსე, მისივე. . .	»	1
დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . .	»	5
არითმეტიკა, დიდებულიძისა. .	»	50
არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . .	»	1
წითელი ფარანი, თარგმანი. .	»	15
ზაფხული, ჯუღელის რედაქციით.	»	2
ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა	»	10
ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა	»	5
არსენას ლექსი	»	55
ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი.	»	15
ქართული ანდაზები. . . .	»	10
თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა	»	4
ირაკლი მეორის გლოვა . .	»	5
ალი, ნ. ლომოურისა . , . .	»	30
დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა.	»	20
ალმანახი, გ. თუმანიშვილისა .	»	40
სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა	»	5
მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . .	1	»
თხზულებანი, მისივე ნაწ. I. .	»	60
რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა	»	30

დაიბეჭდა და ისყიდება:

ტფილისში გრ. ჩარკვიანთან და ქუთაისში ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიაში:

ქართული მწერლობა

(მეთორმეტე საუკუნეში),

ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი ერთი აბაზი.

იოსებ დავითაშვილი,

ბიოგრაფიული აღწერა.

ფასი 15 კაპ.

Дозв. ценз. Тиф. 17 августъ 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Фредкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე